www.segeorgia.org

14

საინფორმაციო ჟურნალი

დეკემბერი, 2015 წელი

სოციალური მეწარმეობა საქართველოში

სოციალური მეწარმეობის ფორუმი - 2015.....2

თბილისობა 2015.....3

პრო-ბონო ქსელი საქართველოში.....4

სოციალური საწარმოები იძულებით გადაადგილებულ პირთათვის საქართველოში.....5

გაიცანით

სოციალური საწარმო "ბაბალე".....6

სოციალური საწარმო „კრეატიული კაფე".....7

სოციალური მეწარმეობის საერთაშორისო ამბები

სოციალური საწარმოების საერთაშორისო ფორუმი (SEWF)- 2015.....7

სოციალური ბიზნესის საერთაშორისო სამიტი (GSBS) - 2015.....8

სოციალური მეწარმეობის ფორუმი - 2015

სოციალური მეწარმეობის ფორუმი ყოველწლიური ღონისძიებაა, რომელსაც 2012 წლიდან საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი, ევრაზიის თანამშრომლობის ფონდთან ერთად მართავს. თბილისის მუნიციპალიტეტის მერია უკვე მეორე წელია ფორუმის მხარდამჭერი და თანაორგანიზატორია.

ფორუმის მიზანია სოციალური მეწარმეობის პოპულარიზაცია, სოციალური მეწარმეობით დაინტერესებული პირებისთვის მეტი ინფორმაციის მიწოდება, სოციალურ საწარმოებს შორის თანამშრომლობის გაღრმავება და განვითარების შემდგომი პრიორიტეტების შეთანხმება.

ფორუმის ძირითადი საკითხები იყო:

- სოციალური მეწარმეობის შემდგომი განვითარების პერსპექტივები და

- სექტორებს შორის თანამშრომლობის გაუმჯობესების გზები.

წლევანდელი ფორუმის ფარგლებში აგრეთვე მოეწყო სოციალური მეწარმეების მიერ დამზადებული

პროდუქციისა და მომსახურების გამოფენა.

სოციალური მეწარმეების პროდუქციისა და მომსახურების გაცნობის მიზნით გამოფენას ეწვივნენ სხვადასხვა მაღალი რანგის პირები, მათ შორის ქალაქის მერი, პარლამენტარები, დეპუტატები, მინისტრის მოადგილეები და სხვა ვიზიტორები როგორც სამთავრობო, ისე არასამთავრობო და ბიზნეს სექტორებიდან.

„აღსანიშნავია, რომ ბოლო წლების განმავლობაში განსაკუთრებულად გააქტიურდა სოციალური მეწარმეობა და სულ უფრო მეტი სოციალური საწარმო იხსნება. აქ არიან დასაქმებულები სოციალურად დაუცველი ადამიანები, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები, ისეთი მოქალაქეები, რომელთაც განსაკუთრებული ზრუნვა სჭირდებათ. ისინი აწარმოებენ პროდუქციას და შემდგომ ყიდიან, შესაბამისად, იღებენ შემოსავალს“ - ღონისძიებაზე განაცხადა თბილისის მერმა, დავით ნარმანიამ.

თბილისობა 2015

„თბილისობა“ საშემოდგომო დღესასწაულია, რომელიც ქ. თბილისში პირველად აღინიშნა 1979 წელს და მას შემდეგ ყოველწლიურ ხასიათს ატარებს. ფესტივალის ფარგლებში ეწყობა სხვადასხვა სახის კულტურული ღონისძიებები, სპორტული შეჯიბრებები, ქართული და ეთნიკური უმცირესობების ხალხური შემოქმედების კონცერტები და გამოფენა-გაყიდვები, სასოფლო-სამეურნეო ბაზრობები.

„თბილისობა 2015-ის“ ფარგლებში დაგეგმილი ღონისძიებები თბილისის სხვადასხვა უბანში 17-18 ოქტომბერს გაიმართა.

თბილისის მერიის დახმარებით, საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და გავნითარების ცენტრი, ევრაზიის თანამშრომლობის ფონდთან აქტიური პარტნიორობით აორგანიზებს სოციალური მეწარმეების მიერ პროდუქციის გამოფენას. უკვე მეორე წელია, სოციალური მეწარმეები ერთვებიან თბილისობის დღესასწაულში.

ღონისძიებაში თხუთმეტი სოციალური საწარმო იყო ჩართული, მათ პროდუქციის ფართო ასორტიმენტი შესთავაზეს ვიზიტორებს: ხის სათამაშოები, ნატურალური წვენები, მინანქრის პროდუქცია, მისალოცი ბარათები, თექისა და ქვილთის პროდუქცია, ტრადიციული სამოსი; ნატურალური თაფლი და ა.შ

გამოფენა-გაყიდვას ეწვივნენ როგორც უცხოელი ვიზიტორები, ისე ქართველი სტუმრები, ასევე, არასამთავრობო, სამთავრობო და ბიზნეს სექტორების წარმომადგენლები.

პრო-ბონო ქსელი საქართველოში

2015 წლის 15 ოქტომბერს სასტუმრო „ბეტსიში“ გაიმართა პრო-ბონო ქსელის პრეზენტაცია.

საქართველოს „პრო-ბონო ქსელი“ წარმოადგენს საქართველოში მოქმედი ადგილობრივი და საერთაშორისო კომპანიების არაფორმალურ გაერთიანებას, რომლის მიზანია კერძო სექტორის ექსპერტიზის (ცოდნის, გამოცდილებისა და შესაძლებლობების) ჩართვა საზოგადოებრივი მიზნების განხორციელებაში.

ქსელში გაერთიანებული კომპანიები შეთანხმდნენ:

- შესაძლებლობის ფარგლებში ხელმისაწვდომი გახადონ საკუთარი ექსპერტიზა და ინტელექტუალური რესურსები საზოგადოების საკეთილდღეოდ მომუშავე ორგანიზაციებისათვის;
- წაახალისონ საკუთარი თანამშრომლები ჩაერთონ ადგილობრივი თემის დასახმარებლად მიმართულ სოციალურ ინიციატივებში;
- ითანამშრომლონ ერთმანეთთან და სამოქალაქო სექტორთან საქართველოში „პრო-ბონო“ კონცეფციის ცნობადობის გაზრდისა და დადებითი პრაქტიკის დამკვიდრების მიზნით.

პრო-ბონო სერვისები წარმოადგენს კორპორაციული პასუხისმგებლობის (CSR) განხორციელების ერთ-ერთ ფორმას. ის გულისხმობს კომპანიის მიერ საზოგადოების საჭიროებებში ინვესტირებას, თუმცა არა ფულადი სახსრებისა, არამედ საკუთარ თანამშრომელთა დროისა და ინტელექტუალური რესურსისა. შესაბამისად, „პრო-ბონო“ სერვისები აღნიშნავს სამოქალაქო ორგანიზაციებისათვის პროფესიული მომსახურების გაწევას უსასყიდლოდ, ანუ საზოგადოების საკეთილდღეოდ.

საზოგადოების დახმარების ამგვარი ინიციატივები უფრო მდგრად და გრძელვადიან შედეგზეა ორიენტირებული, რაც კომპანიებს მრავალი სხვადასხვა სარგებლის სახით უბრუნდება, როგორებიცაა: კომპანიის მიმართ მის თანამშრომელთა ლოიალობის ზრდა; საზოგადოებასთან კომპანიის ურთი-

ერთობის გაუმჯობესება; კომპანიის, როგორც „პასუხისმგებელი კორპორატიული მოქალაქის“, პოზიტიური იმიჯის ჩამოყალიბება.

პრო-ბონო სერვისების მედიაციის ინიცი-ატივას „საქართველოს პრო-ბონო ქსელთან“ თანამშრომ-ლობით ახორციელებს საქართველოს სტრატე-გიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი (CSRDG)”.

ინიციატივის მიზანია პრო-ბონო სერვისების მიმწოდებელი კომპანიებისა და სამოქალაქო ორგანიზაციების დაკავშირება ექსპერტიზის ხელმისაწვდომობისათვის.

ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღეს კერძო სექტორის, საერთაშორისო და სამოქალაქო ორგანი-ზაციების წარმომადგენლებმა, ადგილობრივმა და საერთაშორისო ექსპერტებმა, BMW ფონდისა და ფონდ Taproot-ის წარმომადგენლებმა.

სოციალური საწარმოები იძულებით გადაადგილებულ პირთათვის საქართველოში

გერმანული საერთაშორისო ორგანიზაციის „არბარითერ სამარიტერ ბუნდი (ASB)“, საქველმოქმედო ჰუმანიტარული ცენტრ „აფხაზეთის“ ორგანიზებითა და ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის ფინანსური მხარდაჭერით 25 ოქტომბერს, ქ. ბორჯომში ჩატარდა სოციალური ფორუმი.

სოციალური ფორუმის მიზანი იყო მოწვეული სტუმრებისა და დამსწრე საზოგადოებისთვის პროექტის „სოციალური საწარმოები იძულებით გადაადგილებულ პირთათვის საქართველოში“ - გაცნობა. ღონისძიებაზე განიხილეს სოციალური მეწარმეობის როლი და მნიშვნელობა საზოგა-დოების განვითარების პროცესში. ფორუმზე საზოგადოებას წარუდგინეს საგრანტო კონკურს-ში გამარჯვებული პროექტები და გაფორმდა მემორანდუმი ადგილობრივ თვითმმართველობასთან.

პროექტი გასულ წელს დაიწყო და მიზნად ისახავს იძულებით გადაადგილებულ პირთა და ე.წ საზღვ-რისპირა გამყოფ ზოლთან მცხოვრები მოსახლეობისთვის სოციალური საწარმოების დაფუძნების ხელშეწყობას და ზოგადად, სოციალური მეწარმეობის ხელშეწყობას.

გ ა ი ც ა ნ ი თ

სოციალური საწარმო "ბაბალე"

სოციალური საწარმო „ბაბალე" შეიქმნა 2015 წელს. მისი დამფუძნებელია არასამთავრობო ორგანიზაცია „რეალური ცვლილებებისთვის".

სოციალური საწარმოს მიზანია შეზღუდული შესაძლებლობებისა და სპეციალური საჭიროებების მქონე პირთა პროფესიული ინკულიზური განათლების და დასაქმების ხელშეწყობა.

სოციალური საწარმო თბილისში, ნაფარეულის # 6-ში მდებარეობს. „ბაბალეში" ერთდროულად ხდება გამოყენებითი დეკორატიული ნივთების შექმნა და რეალიზაცია. სივრცე თავის თავში მოიაზრებს სახელოსნოს და მაღაზია სალონს, სადაც შშმ პირებს შესაძლებლობა აქვთ ადაპტირებულ შემოქმედებით გარემოში, სპეციალური მეთოდოლიგიის გამოყენებით შეის-წავლონ დეკორატიული გამოყენებითი ხელოვნება და დასაქმდნენ სხვადასხვა პოზციაზე.

ამჟამად საწარმოში დასაქმებულია 4 შშმ პირი.

სოციალურ საწარმოში მზადდება ხის და ტექსტილის როგორც დეკორატიული, ისე გამოყენებითი ნივთები: ხის ზარდახშები, საფანქრეები, საათები, ჩარჩოები, სათამაშები, ჩანთები, სანათები და სხვა სახის სუვენირები.

სოციალური საწარმო „კრეატიული კაფე“

კრეატიული კაფე დააფუძნა ა(ა)იპ კრეატიული განვითარების ცენტრმა. კაფეს შექმნის იდეა უკავშირდება ორ მნიშვნელოვან საკითხს: სამუშაო გარემოსა და ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობას. კრეატიული კაფე უზრუნველყოფს ახალგაზრდებისთვის ხელმისავწდომობას როგორც სამუშაო სივრცეზე, ასევე ზოგადად ინფორმაციაზე და არაფორმალურ განათლებაზე.

საწარმოს მიზნებია:

- ✓ ახალგაზრდებისათვის სამუშაო და საგანმანათლებლო სივრცის შეთავაზება;
- ✓ ახალგაზრდებისათვის სამოქალაქო განათლებაზე ხელმისაწვდომობის გაზრდა;
- ✓ ინკლუზიისა და თვითდასაქმების ხელშეწყობა;
- ✓ ახალგაზრდების თვითგანვითარებაზე სტრუქტურული მუშაობა მენტორინგის პროგრამის დახმარებით;
- ✓ ორგანიზაციებისათვის სამუშაო გარემოს შეთავაზება.

კაფე მომხმარებელს სთავაზობს მრავალფეროვან მენიუს, ასევე ერთ თვიან ულიმიტო Co-worker ბარათს, რომელიც მათ აძლევთ შესაძლებლობას ისარგებლონ სამუშაო სივრცით, უსადენო ინტერნეტით, და ასევე მიიღონ ისეთი სერვისი როგორებიცაა ბეჭდვა/ქსეროქსი/სკანირება, და უფასო გამაგილებელი სასმელი ყოველდღე.

სოციალური მეწარმეობის საერთაშორისო ამბები

სოციალური საწარმოების საერთაშორისო ფორუმი (SEWF)- 2015

2015 წლის ივლისში გაიმართა სოციალური მეწარმეობის საერთაშორისო ფორუმი. მას წელს მილანმა (იტალია) უმასპინძლა. ფორუმი 2008 წლის შემდგომ იმართება და ყოველწლიურ ხასიათს ატარებს. ფორუმს გასულ წლებში ისეთმა ქვეყნებმა უმასპინძლეს, როგორებიცაა სამხრეთ კორეა (2014); კანადა (2013); ბრაზილია (2012); სამხრეთ აფრიკა (2011); აშშ (2010); ავსტრალია (2009); შოტლანდია (2008).

სოციალური მეწარმეობის ფორუმი არის საერთაშორისო ღონისძიება, რომელსაც ესწრება ათასობით სოციალური საწარმოს წარმომადგენელი მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებიდან. ფორუმზე სოციალურ მეწარმეებს საშუალება აქვთ გაიცნონ კოლეგები, ისაუბრონ სოციალური მეწარმეობის პოლიტიკაზე, განხორციელების საშუალებებსა და განვითარების პერსპექტივებზე.

სოციალური მეწარმეობის ფორუმის მიზნებია:

- ✓ ბენეფიციარებს გაუღრმავოს ცოდნა იმასთან დაკავშირებით, თუ როგორაა შესაძლებელი სოციალური საწარმოს საქმიანობის განვითარება იმ დონემდე, რომ მან ქვეყნის ეკონომიკაზე რეალური სოციალური და ეკონომიკური გავლენა მოახდინოს;
- ✓ გააფართოვოს წარმოდგნები სოციალური საწარმოების პოტენციური შესაძლებლობების შესახებ გრძელვადიან პერიოდში მათი განვითარებისა და მდგრადობის შესახებ;
- ✓ განიხილოს სტრატეგიები, სისტემები და მოდელები, რომლებიც გავლენას ახდენენ სოციალურ მეწარმეობაზე მთელი მსოფლიოს მასშტაბით;

სოციალური მეწარმეობის ფორუმის როლია:

- ✓ სოციალური საწარმოების დახმარება, განვითარების ხელშეწყობა - კოორდინირება;
- ✓ საკითხის ადვოკატირება და ზოგადად, სოციალური მოძრაობების გააქტიურება.

სოციალური ბიზნესის საერთაშორისო სამიტი (GSBS) - 2015

სოციალური ბიზნესის საერთაშორისო სამიტი ღონისძიებაა, ის უკვე მეშვიდე წელია იმართება. სამიტი ნობელის პრემიის ლაურეატის, პროფესორ იუნუს მუჰამედისა და მისი ასისტენტის, ჰენს რიტსის ინიციატივით იმართება.

ღონისძიებაში მონაწილეობას იღებენ სოციალური მეწარმეები, კერძო, სამოქალაქო და სახელმწიფო სექტო-

რის წარმომადგენლები, აკადემიკოსები და ექსპერტები.

2015 წლის ნოემბერში, სამიტი ბერლინში (გერმანია) გაიმართა. ღონისძიებაზე განიხილეს ისეთი თემები, როგორებიცაა არსებული ბიზნეს მიდგომების ნაკლოვანებები; სოციალური ბიზნესის როლი

და პერსპექტივები, სოციალური საწარმოს ფინანსების დაგეგმვა და ღირებულება, რომელსაც ქმნის სოციალური ბიზნეს მიდგომა.

„სოციალური ბიზნესის მეშვიდე სამიტზე ჩვენ შევქმენით ისეთი პროგრამა, რომლის ძირითადი შინაარსია „აკეთე სოციალური ბიზნესი სიამოვნებით“. სამიტი არის კარგი ადგილი წარმატებული სოციალური მეწარმეების თვალწარმტაცი საქმიანობის გასაცნობად. ღონისძიების მაღალი ხარისხის უზრუნველსაყოფად, სპიკერებად, სამიტზე მოვიწვიეთ წარმატებული სოციალური მეწარმეები, მეცნიერები და აკადემიკოსები“ - აცხადებენ ღონისძიების ორგანიზატორები.

*თუ აღარ გსურთ მიიღოთ **სოციალური მეწარმეობის საინფორმაციო ჟურნალის** შემდეგი გამოცემები, გამოაგზავნეთ ტექსტი - „გამოწერის გაუქმება“ ელექტრონულ მისამართზე: **Social.enterprise.ge@gmail.com***

© ყველა საავტორო უფლება დაცულია და ეკუთვნის „საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრს“.